ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2019 წლის 18 იანვარი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/07/2017 წ., ს/კოდი: 010250050.35.140.016258) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

დადგენილებით დამტკიცებული დანართი ცხრილის უნომრო და ნომერი 1; 1.1; 1.2 და 1.3 სტრიქონები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო				
1		**მერიის თანამდებობის პირები**	**3**	**6250**
1.1		მერი	1	2650
1.2		მერის პირველი მოადგილე	1	2000
1.3		მერის მოადგილე	1	1600

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა მელიქიძე